


ღორის კვება

ღორის ხორცის ინტენსიურად წარმოებისათვის აუცილებელია ღორის სრულფასოვანი კვება. საკვებში ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ცილების შემცველობას. მოზარდის გამოზრდისას 2 და 10 თვის ასაკამდე 1კგ ცოცხალი მასის მომატებაზე იხარჯება 4,5–5 საკვები ერთეული, თუ ეს კულტურული ჯიშებია. რაც შეეხება ადგილობრივ ჯიშებს მათ 7–8 საკვები ერთეული სჭირდება. მაწოვარი ნეზვის კვების დროს უნდა გავითვალისწინოთ ნეზვის ასაკი, წონა და ბუდეში გოჭების რაოდენობა.

ღორის კვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლაქტაციის პირველ პერიოდში, რადგან პირველ ხანებში ხსენი და რძის პროდუქტიულობა გადამწყვეტ გავლენას ახდენს მაწოვარი გოჭის ზრდა-განვითარებაზე, ამიტომ აუცილებელია ნეზვის ორგანიზმი დაკმაყოფილდეს ყველა საყუათო ნივთიერებებით.



მაწოვარი ნეზვის კვების ულუფა (კგ)–ში

საკვების დასახელება	2 წლამდე	2 წელზე უხნესი	შენიშვნა
მარცვლეულის ნარევი	3,5	3,0	
კომბინირებული სილოსი	6,0	6,0	ზამთარში
მწვანე მასა	5,0	5,5	ზაფხულში
ცარცი	0,055	0,065	

სუფრის მარილი	0,065	0,065	
---------------	-------	-------	--

ნეზვს ბუდეში არსებულ ყოველ გოჭზე დამატებით ეძლევა 0,39კგ. კონცენტრატის ნარევი.

ულუფის სტრუქტურა(%)

საკვები	%
კონცენტრატის ნარევი	70–75
წვნიანი და მწვანე საკვები	20–25
ბალახის ფქვილი	5
ცხოველური წარმოშობის საკვები	5